№ 01/20
14.03.2022 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისში, ტყიბულის ქუჩა №1ა-ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მოქ. ზეინაბი ცაგარეიშვილისა (პ/ნ 60001031819) და მოქ. ლევანი კუხიანიძის (პ/ნ 60001041506) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწის (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.12.03.016.006) განთავსებულ შენობაში შპს „კავკასპლასტი" ელექტრო სადენების საიზოლაციო გოფრირებული მილების წარმოება ფუნქციონირებს 2016 წლიდან და ახორციელებს პლასტმასის ნარჩენების გადადამუშავებას (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პლასტმასის გრანულები) მიღების მიზნით და ამ ნედლეულისაგან პლასტმასის ნაკეთობების (პლასტმასის მილები) წარმოებას. მასალების გოფრირების ტექნოლოგია გამოიყენება ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად კონსტრუქციის გასამყარებლად. გოფრირებული მილი წარმოადგენს ელასტიურ არხს მრგვალი კვეთით, რომელიც გამიზნულია ელექტროსადენების ჩასაწყობად.

საწარმო უზრუველყოფილია საჭირო დანადგარებით (პლასტმასის ნარჩენების როტაციული დამქუცმაცებელი დანადგარი, გრანულატორი და პლასტმასის მილების დანადგარი) და დამხმარე ინფრასტრუქტურით.

საწარმოს მიერ „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება № 42 დადგენილების შესაბამისად „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში" შემუშავებულია და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დადგენილი წესით შეთანხმებულია 2016 წელს.

საწარმო დაგეგმილ საქმიანობას განახორციელებს არსებული ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური ხაზის ბაზაზე, მაგრამ ახალი ბიზნეს-გეგმის მიხედვით, რენტაბელობისა და წარმადობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა არსებული ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური ხაზის ბაზაზე ახალი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია. ახალი საწარმოს მოწყობისათვის ძირითადად გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების ორგანიზება:

- არსებული დანადგარების (პლასტმასის ნარჩენების როტაციული დამქუცმაცებელი დანადგარი, გრანულატორი) კაპიტალური შეკეთება ან/და ანალოგიური ტექნიკური მახასიათებლების დანადგარებით შეცვლა;
- ელექტროსადენებისათვის პლასტმასის გოფრირებული მილების წარმოებისას ნაცვლად 1 დანადგარისა, 2 ერთეული დანადგარის გამოყენება , მათ შორის:
  1. არსებული დანადგარი #1- ჩინური კომპანია Qingdao Huasu Machinery Fabricate Co., Ltd-ის პლასტმასის გოფრირებული მილების დანადგარი, წარმადობა - 15 კგ/სთ პროდუქცია;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5355
"14" 03 2022
3/CO

2. ახალი დანადგარი #2- ჩინური კომპანია Suzhou Caivi Plastic Machinery Co., Ltd-ის პლასტმასის გოფრირებული მილების დანადგარი, წარმადობა - 25 კგ/სთ პროდუქცია (ამჟამად მოცემული დანადგარი შესყიდულია);

- ადსორბციული საჰაერო ფილტრებით აღჭურვილი გამწოვი სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება, საიდანაც მოხდება მოცემული სათავსოების პერიოდული განიავება. სუნის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სავენტილაციო სისტემა აღჭურვილი იქნება კომპანია "ელვენტი"-ს ადსორბციული ФВП-6-305-305-78 (ნახშირის) მოდელის საჰაერო ფილტრებით.

როგორც უკვე აღინიშნა, ახალი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია გათვალისწინებულია არსებული ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური ხაზის ბაზაზე, ამიტომ ახალი საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის არსებული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები გათვალისწინებული არ არის. ახალი საწარმოს მოწყობისათვის ძირითადად გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების ორგანიზება:

- ახალი (დამატებითი) დანადგარების მონტაჟი;
- დანადგარების გამოცდა-დარეგულირება;
- საცდელი წარმოება;
- მომსახურე პერსონალის მომზადება და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ბიზნეს-გეგმის მიხედვით შ.პ.ს. „კავკას პლასტი“ (ს/კ 400072853) გეგმავს ქ. თბილისში, ტყიბულის ქუჩა №1ა-ში პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისათვის პლასტმასის გოფრირებული მილები) საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 ქვეპუნქტის თანახმად "ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამუშავებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

შ.პ.ს. „კავკას პლასტი“ გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით შესაბამისად, სამინისტროში წარდგენილი იქნა სკოპინგის ანგარიში, სკოპონგის დასკვნის გასაცემად (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად

განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, „ქ. თბილისში შპს „კავკას პლასტის" პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისთვის პლასტმასის გოფრირებული მილები) წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-692 ბრძანებით გამოცემული იქნა 2019 წლის 05 ივლისის №67 სკოპინგის დასკვნა.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მივიღეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №2-692 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №2-1099 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმეორებით წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „კავკას პლასტი"-ს პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისათვის პლასტმასის გოფრირებული მილები) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი:
1. შ.პ.ს. „კავკას პლასტი"-ს პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (ელექტროსადენებისათვის პლასტმასის გოფრირებული მილები) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

ნატო ივანიძე

შპს „კავკას პლასტი"-ს დირექტორი

ნ. ივანიძე

შპს „კავკასპლასტი" 400072853 KAVKASPLAST LTD